პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 57 (5087)

1974 წ. 21 მარტი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ЗИМНЯЯ СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР · 1974

## სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974

## გუნდური ბრძოლის საბოლოო შედეგები

**მოკავშირე რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები**

1. ლენინგრადი — 2176 ქულა
2. მოსკოვი — 2129,5
3. სვერდლოვსკის ოლქი — 1211
4. გორკის ოლქი — 904,3
5. ყაზახეთის სსრ — 823,5
6. მოსკოვის ოლქი — 756,5
7. უკრაინის სსრ — 743
8. კიროვის ოლქი — 688,5
9. ლატვიის სსრ — 545
10. პერმის ოლქი — 527
11. ლენინგრადის ოლქი — 510,33
12. ნოვოსიბირსკის ოლქი — 455,5
13. ბელორუსიის სსრ — 442
14. საქართველოს სსრ — 356,5
15. ესტონეთის სსრ — 349
16. უდმურტეთის ასსრ — 316
17. კომის ასსრ — 308
18. ბაშკირეთის ასსრ — 305,5
19. ირკუტსკის ოლქი — 284
20. კემეროვოს ოლქი — 271
21. მურმანსკის ოლქი — 266,5
22. ჩელიაბინსკის ოლქი — 232,2
23. სმოლენსკის ოლქი — 197
24. კრასნოიარსკის მხარე — 126
25. კალინინის ოლქი — 114
26. ხაბაროვსკის მხარე — 103,33
27. ულიანოვსკის ოლქი — 95
28. ალტაის მხარე — 90
29. სახალინის ოლქი — 87
30. თათრეთის ასსრ — 83,5
31. კარელიის ასსრ — 83
32. კუიბიშევის ოლქი — 75,5
33. კამჩატკის ოლქი — 74,5
34. ომსკის ოლქი — 74,5
35. ტომსკის ოლქი — 73
36. მარეთის ასსრ — 71,5
37. ლიტვის სსრ — 66
38. ამურის ოლქი — 49
39. ჩიტის ოლქი — 48
40. ვლადიმირის ოლქი — 48
41. იაროსლავლის ოლქი — 42
42. არხანგელსკის ოლქი — 41
43. ჩუვაშეთის ასსრ — 38
44. ივანოვოს ოლქი — 36
45. სარატოვის ოლქი — 33
46. რიაზანის ოლქი — 30
47. ბრიანსკის ოლქი — 24
48. კურგანის ოლქი — 23,33
49. სომხეთის სსრ — 18
50. ტაჯიკეთის სსრ — 11
51. ვორონეჟის ოლქი — 6.

**სპორტსაზოგადოებები და უწყებები**

**I ჯგუფი**

1. „ბურევესტნიკი“ — 3048,6
2. „დინამო“ — 2909,45
3. „სპარტაკი“ — 2327,3
4. „ტრუდი“ I — 2159,55
5. შეიარაღებული ძალები — 1623,1
6. „ზენიტი“ — 1155
7. სოფლის სპორტსაზოგადოებები — 719,8
8. „შრომითი რეზერვები“ — 690,5
9. „ლოკომოტივი“ — 659,3
10. „ტრუდი“ II — 232,3
11. „ვოდნიკი“ — 94

**II ჯგუფი**

1. „ვარპა“ — 338,4
2. „ავანგარდი“ — 335
3. „ენბეკი“ — 289
4. „უროჟაი“ (რსფსრ) — 284,4
5. „განთიადი“ — 66
6. „კალევი“ — 58,5
7. „კრასნოე ზნამია“ — 52,5
8. „კოლოსი“ — 32,5
9. „ჟალგირისი“ — 22,3
10. „დაუგავა“ — 22
11. „კოლმეურნე“ — 20
12. „უროჟაი“ (ბელორუსია) — 19,5
13. „ამხატანქი“ — 18
14. „იიუდი“ — 16,5
15. „ქაირათი“ — 5
16. „ნიამუნასი“ — 3,5.



ბაკურიანის თოვლიან ტრასაზე...

მ. ზარგარიანის ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).



ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ჩემპიონები წყვილთა სრიალში, მოსკოველი მოციგურავეები ი. როდნინა და ა. ზაიცევი.

საკდესის ფოტო.

## რიგერტი დანებდა... ექიმებს

ერევნის ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში „მეგობრობის პრიზზე“ 19 მარტს ასპარეზობდნენ ქვემძიმე და მძიმე წონების ძალოსნები.

ვ. რიჟენკოვის ტრიუმფის შემდეგ მაყურებლები მოელოდნენ, რომ ესტაფეტას ბრწყინვალედ გააგრძელებდა ქვემძიმე წონის ძალოსანი დ. რიგერტი, მან ატაცი 162,5 კგ-ით დაიწყო, შემდეგ კი 167,5 შეუკვეთა.

... შეჯიბრებამდე რიგერტმა განაცხადა, ვინდა მსოფლიო რეკორდებზე მივიტანო იერიშით. სპეციალისტთა აღიარებით, ცნობილი ათლეტი ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში იყო და დარბაზში მყოფი მაყურებლები მისგან მსოფლიო რეკორდებს ელოდნენ, მაგრამ ამ სურვილს შესრულება არ ეწერა.

167,5 კგ სპორტსმენმა ცუდად აიტაცა, დაშავდა კიდეც და, მიუხედავად მისი დაჟინებული თხოვნისა, ასპარეზობა გამაგრძელებინეთო, ექიმებმა იგი სარბიელზე აღარ დაუშვეს.

მეორე საბჭოთა ძალოსანი ს. პოლტორაცკი 160 კილოგრამის დაძლევის შემდეგ 165 კილოგრამს შეეჭიდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. 160 კილოგრამი დაძლია გდრ-ის წარმომადგენელმა ჰ. პეცოლდმაც.

გამარჯვებული აკვრას უნდა დაესახელებინა. გერმანელმა სპორტსმენმა 195 კილოგრამი აკრა, საბჭოთა სპორტსმენმა — 197,5, შემდეგ მისვლაზე პეცოლდმა 200 კილოგრამი დაძლია, პოლტორაცკიმ არჩევანი 202,5 კილოგრამზე შეაჩერა, მაგრამ ეს წონა ვერ დაძლია. შემდეგ ორივე სპორტსმენმა 205 კილოგრამის დაძლევა მოინდომა, მაგრამ ორივეს ხელი მოეცარა. ამრიგად, გაიმარჯვა პეცოლდმა — 360 კგ. ეს გდრ-ის ახალი რეკორდია. გერმანელს ორ-ნახევარი კილოგრამით ჩამორჩა პოლტორაცკი.

მძიმე წონაში ყველას აჯობა საბჭოთა ძალოსანმა ვ. უსტიუჟინმა — 377,5 კგ.

II ადგილი დაიკავა გდრ-ის წარმომადგენელმა ი. ციცკიმ — 375 კგ, ხოლო III — ბულგარელმა ვ. ხრისტოვმა — 362,5 კგ.

მაყურებელი დიდი ინტერესით მოელოდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ტალინელი ი. ტალტსის შედეგებს, მაგრამ ატაცში მეორე ცდის შესრულებისას იგი დაშავდა და შეჯიბრების გაგრძელება ველარ შეძლო.

## ტელეფონით

### დასკვნითი შეხვედრების წინ

გუშინ „ლელოს“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ბელგრადს და ესაუბრა მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს, მიულოცა პირველი პრიზის მოპოვება და ბოლო შედეგებიც ჩაიწერა.

— სამშაბათს, — თქვა ნონამ, — მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. სათამაშო იყო 12 პარტია. მათგან შედეგიანი მხოლოდ ოთხი აღმოჩნდა: პიხაილიჩმა (იუგოსლავია) მოუგო რაძიკოვსკას (პოლონეთი), ვასნეცკიმ (გფრ) — ბოჟკოვიჩს, კალხბრენერმა — იოვანოვიჩს და მარკოვიჩმა — სებრიჩს (ხუთივე — იუგოსლავია). ყაიმით დამთავრდა დანარჩენი შეხვედრები: ბოჟკოვიჩი — რაძიკოვსკა, ვასნეცკი — პიხაილიჩი, ბოჟკოვიჩი — მარკოვიჩი, ვოკრუალოვა (ჩეხოსლოვაკია) — მედიანიკოვა (სსრ კავშირი), კალხბრენერი — რაძიკოვსკა, იოვანოვიჩი — ვოკრუალოვა, ვასნეცკი — სებრიჩი, რაძიკოვსკა — მედიანიკოვა.

დასკვნით, XIII ტურის წინ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: მე 10,5 ქულა მაქვს, ვერეცის — 8,5, კალხბრენერსა და შტადლერს — 8-8, რაძიკოვსკას — 7,5, ვოკრუალოვას, მარკოვიჩს — 7-7, მედიანიკოვასა და კატია იოვანოვიჩს — 5,5-5,5, ლაზარევიჩსა და პიხაილიჩს — 4-4, ვასნეცკის — 3,5, ბოჟკოვიჩს — 2,5, სებრიჩს — 2.

## 8:2

**ნიუ იორკი, 20 მარტი.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავეების ამხანაგურმა შეხვედრამ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 8:2.

განსაკუთრებით წარმატებით იჭიდავეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კრასნოიარსკელმა ი. იარიგინმა (ქვემძიმე წონა) და მსოფლიო ჩემპიონმა, ორჯონიკიძელმა ს. ახდიევმა (მძიმე): პირველმა მე-3 წუთზე სძლია ბ. დიდრიქს, ხოლო მეორემ 7 წუთსა და 36 წამში ბეჭებზე დასცა მ. მაკკრიდი.

მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა ქვემსუბუქ წონაში ვ. იუმინმა (მახაჩყალა) ქულებით დაამარცხა მ. მასერი. თანაქალაქელს კარგად აუბეს მხარი ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზ. აბდულბეკოვმა (მსუბუქი) და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა რ. აშურალიევმა (მეორე ქვესაშუალო): მათაც ქულებით გაიმარჯვეს — პირველმა დაამარცხა ლ. მორგანი, მეორემ კი — ჯ. უელსი.

ევროპის ჩემპიონმა, მინსკელმა ვ. სიულეინმა (პირველი საშუალო) ქულებით სძლია ჯ. პიტერსონს. მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, თბილისელმა ლ. თედიაშვილმა (მეორე საშუალო) ასევე ქულებით აჯობა რ. პელიქსონს.

ევროპის ჩემპიონმა, მახაჩყალელმა ნ. ნასრულაევმა (პირველი ქვესაშუალო) ფრედ დაამთავრა ჭიდილი მსოფლიო ჩემპიონ ლ. კიზერთან, ხოლო საბჭოთა ნაკრების დებიუტანტი, ბაქოელი ტ. ფამაევი (უმჩატესი) ასეთივე შედეგს დასჯერდა ს. გონსალესთან.

უალრეს დ მძ ფრი იყო ოლიმპიური ჩემპიონის, მოსკოველი რ. დმიტრიევისა (მჩატე) და ჯ. მორლის შერკინება. ერთი ქულის უპირატესობით გაიმარჯვა ამერიკელმა მოჭიდავემ.

სსრ კავშირის ნაკრები მეორე შეხვედრას 30 მარტს გამართავს კალიფორნიაში. საბჭოთა მოჭიდავეების ეს გამოსვლები საპასუხო ვიზიტია. ალბათ გახსოვთ: ამერიკის შეერთებული შტატების მოჭიდავეთა ნაკრები წლეულს იანვრის დამლევსა და თებერვლის დამდეგს ესტუმრა სსრ კავშირს — მოსკოვში, კიევსა და მინსკში წააგო ამხანაგური მატჩები ხალიჩის მასპინძლებთან.

წერილი რედაქციას

# აღვადგინოთ მივიწყებული სარბიელი სასპარეზო

თბილისში კი არა, მთელ საქართველოშიც ძნელად მოიძებნება სპორტის მოტრფიალე, კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედნები და იქ გამართული საინტერესო ასპარეზობანი რომ არ ახსოვდეს. ამ მოედნების პოპულარობა მრავალი ნიშნით იყო განპირობებული. ჯერ ერთი, მყუდრო და ლამაზი პარკი მუდამ დასვენებისა და გართობის ათასობით მოყვარულს იზიდავდა. ამას გარდა, მნიშვნელობა ჰქონდა პარკის გეოგრაფიულ მდებარეობას, კერძოდ კი მის ახლო მეზობლობას ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ უმაღლეს სასწავლებლებთან. სტუდენტი ახალგაზრდობა ხალისით დადიოდა პარკში, ვარჯიშობდა გულმოდგინედ და მონაწილეობდა სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში, მათ შორის ისეთ პოპულარულ ტურნირებში, როგორიც იყო რესპუბლიკის ჩემპიონატი (გაიხსენეთ თბილისის ოფიცერთა სახლისა და „დინამოს" კალათბურთელთა დაუვიწყარი შეხვედრები) და თბილისის უმაღლესი სასწავლებლების საკლუბო პირველობა.

რა მოხდა შემდეგ, ჩვენთვის ძნელი გასაგებია. ცხოვრება წინ წავიდა. გაიზარდა მოთხოვნები სპორტსმენებისადმი, გაიზარდა და გართულდა წვრთნისა და ვარჯიშის მეთოდიკა. საჭირო გახდა სპორტული ბაზების ქსელის შემდგომი გაფართოება. მას შემდეგ თბილისში მართლაც აშენდა კალათბურთის ერთი თუ ორი მაღალხარისხოვანი ბაზა, მაგრამ, ვიმეორებთ, ქალაქის სპორტული ცხოვრების მზარდი ტემპისთვის ისინი უკმარი აღმოჩნდნენ.

ახლა ჩვენ, სპორტისგან ასე შორს მდგომებს, მაგრამ კალათბურთის ერთგულ გულშემატკივრებს ხშირად გვესმის საყვედური იმის გამო, რომ რიგით მოყვარულებს კი არა, ხშირად თბილისის „დინამოს" ოსტატებსაც არა აქვთ სავარჯიშო ადგილი. ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როცა კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედნები გამოუყენებელია.

სპორტის განვითარება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მის მასობრიობასა და პოპულარობასთან. კალათბურთი ჭეშმარიტად მასობრივი სწორედ მაშინ იყო, როცა კიროვის სახელობის პარკის ტერიტორიაზე დუღდა და გადმოდუღდა სპორტული ცხოვრება, ახლა კი, როგორც ვთქვით, პარკის სპორტული ბაზები უმოქმედოდაა. მეტსაც ვიტყვით: კაცმა არ იცის, ვის ეკუთვნის ახლა ეს მოედნები — კალათბურთელებს, ხელბურთელებს თუ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებს.

ჩვენი სურვილი და მოთხოვნა ასეთია: დროა კიროვის სახელობის პარკის მოედნები დავუბრუნოთ კალათბურთელებს. ეს საჭიროა სპორტში სტუდენტი ახალგაზრდობის მასობრივად ჩასაბმელად, ეს აუცილებელია ჩვენი საყვარელი კალათბურთის მდიდარი ტრადიციების აღსადგენად.

პროფესორები ო. ნიორაძე, დ. კაციტაძე, ო. ცქიტიშვილი, მ. თოდუა, ა. გვახარია; დოცენტი მ. ასლანიდი.

# ოთხი ეტაპის ჯამში

თბილისის სპორტის სასახლეში გამართული შეჯიბრებით დამთავრდა სიმაღლეზე მხტომელთა საკავშირო ტურნირი, რომელიც ოთხ ეტაპად ჩატარდა. მეოთხე ეტაპზე ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი მოიპოვა კ. შაპკამ, რომელმაც 218 სმ სიმაღლე გადალახა. ქალთა შორის იმარჯვა მასპინძელმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა მ. ალიაკრინსკაიამ — 179 სმ.

ამ ასპარეზობის შემდეგ შეჯამდა ოთხი ეტაპის მაჩვენებლები, რის შედეგადაც ვაჟთა შორის პირველობა მიეკუთვნა ლენინგრადელ ი. ტარმაკს, ხოლო ქალთა შორის — ვლადიმირელ ტ. ტოროპოვას. მათ შესაბამისად 247 და 266 ქულა დაუგროვდათ.

მძლეოსნობა

# ისრები მანეჟში

ქუთაისში გამართული საქართველოს მშვილდოსან ქალთა შეჯიბრება 8 მარტის დღესასწაულს მიეძღვნა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და ლენინგრადის სპორტსმენები. უამინდობის გამო ასპარეზობა „თბომავლის" მანეჟში ჩატარდა. ამიტომ 70 მეტრიდან სროლა პროგრამიდან ამოიღეს.



სამი დისტანციის ჯამში იმარჯვა თბილისის 54-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ, სპორტის ოსტატმა მ. გოდერძიშვილმა — 889 ქულა. მან ერთხელ კიდევ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

II ადგილი დაიკავა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორანტმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ლ. ჯანიაშვილმა — 853, III — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელმა ს. სინცოვამ — 849.

გუნდური პირველობა თბილისელებმა მოიგეს — 2591 ქულა. II ადგილი დაიკავა ქუთაისის ნაკრებმა — 2287 ქულა, III — ბათუმის კოლექტივმა — 1839 ქულა.

რ. კაციაშვილი.

ქუთაისი.

• • •

სურათზე: მ. გოდერძიშვილი ცეცხლის ხაზზე.

ლ. ფარუაშვილის ფოტო.

# ტრადიცია დაირღვევა

თბილისში დამთავრდა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პირად-გუნდური პირველობა ბადმინტონში. შეჯიბრებაში ექვსი გუნდი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, „ტრადიციისამებრ", სარბიელზე არ გამოსულან ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის გუნდები. მაგრამ, როგორც ჩანს, მალე ეს ტრადიცია დაირღვევა, ვინაიდან ახლახან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ გამოიტანა დადგენილება რესპუბლიკაში ბადმინტონის შემდგომი განვითარებისა და პოპულარობისთვის ზრუნვის შესახებ. ამ დადგენილებაში მოცემულია კონკრეტული ღონისძიებები უმაღლეს სასწავლებლებში ბადმინტონის განვითარების მიზნით.

გუნდური შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები. ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა. III ადგილზე გავიდა სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა (4:3) ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები. შემდეგ ადგილებზე არიან თეატრალური ინსტიტუტისა და სამხატვრო აკადემიის ბადმინტონისტები.

ქალთა პირად პირველობაში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ი. კონდრატიევამ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). იგი თანაკლუბელ გ. ბორიაკთან ერთად II ადგილზე გავიდა შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში. თავის მხრივ ბორიაკმა ყველას აჯობა ერთეულ ვაჟთა შორის. ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა რ. ოკინაშვილმა და თ. ბალაშვილმა. ვაჟებში გაიმარჯვეს ძმებმა ალექსანდრე და ანატოლი დავიდოვებმა (სამედიცინო ინსტიტუტი).

ასევე წარმატებით გამოვიდნენ ლ. ქურხაშვილი, თ. სუხიშვილი და ა. პოგრებეცკაია (ყველა — უნივერსიტეტი), მ. ფულარია (სამედიცინო ინსტიტუტი), ზ. ქაჯაია (სამხატვრო აკადემია), ლ. ჩერნოვა, გ. მათიაშვილი და მ. ღარიბოვი (ყველა — ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომლებმაც საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ახლა ბადმინტონისტებს ელით „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა, რომელიც კიევში ჩატარდება.

ზ. ამირხანოვი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# ისევ ახალგაზრდული შემართებით

სპორტი ჭაბუკობიდანვე უყვარდა. ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში სწავლის დროს სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშობდა და რაიონის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდშიც თამაშობდა. კონსტანტინე ასტახიშვილის მომავალი ცხოვრების გზა სწორედ ფიზკულტურისა და სპორტის სიყვარულმა განაპირობა: 22 წლის ჭაბუკი თბილისის უნივერსიტეტში ახალ გახსნილ ფიზკულტურის ფაკულტეტზე შევიდა. ამ ფაკულტეტზე სწავლის დროს დაოსტატდა სათხილამურო სპორტში. გ. გიორგიძის, გ. ნიკოლაძის, გ. ბაქრაძის, ა. გვალიას, დ. ფურცელაძის შემდეგ ასტახიშვილი სამართლიანად ითვლება საქართველოში ამ სახეობის განვითარებისთვის მებრძოლი მეორე თაობის საუკეთესო წარმომადგენლად.

ქუთაისელი მუშის შვილი სტუდენტობაში მთამსვლელობამაც გაიტაცა. კოტემ რამდენიმე რთულ ასვლაში მიიღო მონაწილეობა, მთამსვლელობის რთულ ტექნიკას დაეუფლა, საგანგებო სემინარის გავლის შემდეგ ალპინიზმის უმცროსი ინსტრუქტორის წოდება მიანიჭეს.

მერე მყინვარწვერზე მოწყობილ მასობრივ ლაშქრობაში მონაწილეობდა, ლაქლაზე ახალგაზრდების მზადების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, 1940-41 წლების ზამთრის სეზონში სხვებთან ერთად თხილამურებით დალაშქრა პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთზე გამავალი ძნელი გზა.

...სამამულო ომი დაიწყო. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებელი, თადარიგის უმცროსი ლეიტენანტი კ. ასტახიშვილი სამობილიზაციო პუნქტში გამოცხადდა. ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე პროხლადნაიასა და ნალჩიკთან, ხარახორის მთებში, ჩერეკისა და ბაქსანის ხეობებში ნაღმმტყორცნელთა ასეულს ხელმძღვანელობდა. მთამსვლელობამ ასტახიშვილს აქ დიდი სამსახური გაუწია.

...1943-44 წლების ზამთარში მთაში საბრძოლო მოქმედების დადგენისა და იარაღის გამოცდის მიზნით ამიერკავკასიის ფრონტის სხვადასხვა ნაწილის მებრძოლებით შედგა კარგად შეიარაღებული მოთხილამურეთა ასეული, რომელსაც კავკასიონის მთიანეთის რთულ პირობებში საგანგებო დავალება მიეცა. რაზმმა, რომელშიც ასტახიშვილის ნაღმმტყორცნელთა სპეციალური ჯგუფიც შედიოდა, კაპიტან გ. ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით მკაცრ მეტეოროლოგიურ პირობებში თხილამურებით 350 კილომეტრი გაიარა და ამოცანა პირნათლად შეასრულა.

ომი დამთავრდა. მთავრობის საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული ასტახიშვილი შინ დაბრუნებისთანავე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის კათედრაზე უფროს მასწავლებლად დაინიშნა. ამავე დროს მან საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად დაიწყო მუშაობა.

ასტახიშვილი ფიზკულტურის სპეციალისტთა აღზრდასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას კარგად უთავსებდა მთამსვლელობას. იგი უშბის ექსპედიციის მონაწილე იყო. შემდეგ თვითონაც ბევრჯერ ყოფილა ამგვარი ექსპედიციების ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო შხელდის ტრავერსი, შხელდაზე ცენტრალური კედლით ასვლა. ამავე დროს ენერგიულად მუშაობდა თანრიგოსან მთამსვლელთა აღზრდისთვის.



არც სათხილამურო სპორტი დავიწყებია: ბაკურიანს ყოველ ზამთარს სტუმრობს, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებს ხელმძღვანელობს, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს სათხილამურო სპორტში ოსტატებს. მისი ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ბევრი სათხილამურო და სამთო-ქვეითი ტურისტული ლაშქრობა ჩატარდა.

კ. ასტახიშვილი საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობს. სხვადასხვა დროს იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს სათხილამურო სპორტის ფედერაციას, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმს, იყო საქართველოს და თბილისის ალპინიზმის ფედერაციების პლენუმის წევრი, ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე...

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!

კონსტანტინე ასტახიშვილმა ასე ნაყოფიერ ფიზკულტურულ მუშაობაში, ახალგაზრდა თაობის აღზრდისთვის ზრუნვაში გალია 60 წელი. ღვაწლმოსილ პედაგოგს ამაგი დაუფასეს: იგი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, სამკერდე ნიშნით „ფიზკულტურის წარჩინებული", საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული" და სხვ.

სპორტის ოსტატი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ასტახიშვილი კვლავაც ჭაბუკური ენერგიით შრომობს, რათა რესპუბლიკური თუ საკავშირო შეჯიბრებები მუდამ მაღალ დონეზე ჩატარდეს, ახალგაზრდა სპეციალისტებმა რაც შეიძლება მეტი და მყარი ცოდნა მიიღონ.

ქ. ქიმისტარიშვილი.

• • •

სურათზე: კ. ასტახიშვილი სტარტს აძლევს.

ო. გელაშვილის ფოტო.

რაიონებში [illegible]

✦ ზუგდიდი

დამთავრდა „კოლმეურნის" პირველობა მძლეოსნურ კროსში გაზეთ „პრავდის" პრიზზე. გუნდური I ადგილი ხვდა ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის გუნდს. II ადგილზე გავიდა რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს" კოლექტივი, III — ცაიშის ი. მეუნარგიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ნაკრები.

ჭ. ფიფია.

# ქარხნის პირველობაზე

კასპის რაიონში ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა ქარხანა „კასპიელექტროაპარატი", რომლის მუშა-მოსამსახურეთა 90 პროცენტს ახალგაზრდები შეადგენენ. ისინი ხშირად აწყობენ ლაშქრობებს, ექსკურსიებს. წარმატებით ატარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს, ატარებენ შიდასაქარხნო შეჯიბრებებსა და სპარტაკიადებს.

ამ დღეებში ქარხანაში გაიმართა შიდასაკოლექტივო პირველობა შაშსა და ჭადრაკში. შაშში გუნდურ I ადგილზე გავიდა ქარხნის ადმინისტრაციის ნაკრები. II ადგილი დაიკავეს ტექნიკური კონტროლის განყოფილების თანამშრომლებმა. III ადგილზეა ამწყობი საამქროს კოლექტივი.

მოჭადრაკეთა გუნდურ ასპარეზობაში I ადგილი დაიკავა აწყობი საამქროს ნაკრებმა, II — ქარხნის ადმინისტრაციის მეორე გუნდმა, III — ამავე საწარმოს პირველმა კოლექტივმა.

ლ. ელისაბედაშვილი.
(ჩვენი კორ.).

კასპი.




# ცენტრალური წრე

3. ივანოვი

## თავი III

### ადამიანზე, რომელიც ყველაზე ძლიერი იყო მინდორზე და ყველაზე სუსტი — მის ფარგლებს გარეთ

დიდ ფეხბურთში ჩემმა პირველმა სეზონმა პირველი მედალიც მომიტანა — ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი. დიახ, ჩვენ მესამე ადგილი დავიკავეთ. ყველაფერი ეს ჯადოსნობას ჰგავდა, მაგრამ სინამდვილე იყო. „ტორპედომ" ძალიან ცუდად დაიწყო სეზონი და ვიქტორ ალექსანდრეს ძე მასლოვის ნაცვლად უფროს მწვრთნელად ნიკოლოზ პეტრეს ძე მოროზოვი დანიშნეს. მისი დანიშვნისთანავე წავაგეთ ერთი რომელიღაც მატჩი, მერე კი დაიწყო გამარჯვებათა გრძელი სერია, რომელმაც საპრიზო ადგილზე გაგვიყვანა.

მერე მე შევეჩვიე ასეთ ჯადოსნობას. ჩემს ცხოვრებაში ხასწაული ერთხელ და ორჯერ არ მომხდარა: მოდიოდა მწვრთნელი და თითქოს ახალ სისხლს ასხამდა გუნდის არტერიებში. და ტრიბუნებზე იყო ერთი სჯა-ბაასი — აი, ხომ ხედავთ, აქამდე უნდა მოე-

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 42, 45, 46, 47, 56.

წკიათ ა ბ-ს მაგივრად და ყველაფერი დიდი ხნით ადრე მოგვარდებოდათ.

გასაკვირია, რომ ასეთ რამეს ზოგჯერ იმ ადამიანებისგანაც გაიგონებ, რომლებიც ფეხბურთთან ახლოს არიან. არა, ერთ დღეში, ერთ კვირაში და ერთ თვეში ახალ მოსულ კაცს, თუნდაც ჭკუის კოლოფი იყოს, არ შესწევს იმის ძალა, რომ გუნდში რევოლუცია მოახდინოს. ნებისმიერ გამარჯვებათა სერია ხანგრძლივი და შეუპოვარი შრომის ნაყოფია, იგი საწვრთნელ ლაბორატორიებში მწიფდება და სპურტისთვის ძალები ადრევე გროვდება.

ხშირად კი ასეც ხდება: შტურმისთვის ყველაფერი მზადაა — ჯარები განლაგებულია, რეზერვი თავმოყრილია, სტრატეგიული გეგმა საბოლოოდ დამუშავებულია, არმიები შეტევის ნიშანს ელოდებიან. მაგრამ ამ დროს სადღაც „მაღლა" არის კაცი, რომელსაც გული აღარ უთმენს. ეს კაცი გუნდის საქმეებში მაინცდამაინც არ არის გარკვეული, მაგრამ ფიქრობს, სარდალი ზედმეტად ზოზინა, გაუბედავი და მოუხეშავიაო. ამიტომ ხდება ხელმძღვანელობის შეცვლა. შეტევის ნიშანს ახალი მწვრთნელი იძლევა. შტურმი, როგორც უნდა ხდებოდეს კიდეც, ტრიუმფით მთავრდება. მაგრამ გამარჯვების ნაყოფს ის კი არ იმკის, ვინც თავის გულში ატარა იგი და თავისი იდეებით ხორცი შეასხა, არამედ სხვა, მზამზარეულზე მოსული.

მაგრამ საბოლოოდ ცხოვრება ყოველთვის ყველას და ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს. მე ზუსტად გამოანგარიშება არც მიცდია — ეს შეუძლებელიცაა, ვინაიდან ასეთ დროს მუდამ თავის როლს თამაშობს სუბიექტური დამოკიდებულება, რომელსაც სტატისტიკაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, — მაგრამ დარწმუნებული ვარ: ფეხბურთში ავტორიტეტის საპნის ბუშტულები ისევე ხშირად სკდება, როგორც წარმოიქმნება. ვინ იცის, ტრიბუნებს რამდენჯერ აუკლიათ სტვენით მწვრთნელები, რომლებსაც აგერ გუშინ ტაშს უკრავდნენ და მხსნელებს ეძახდნენ. მაგრამ ტრიბუნებთან მწვრთნელებისა და ფეხბურთელების დამოკიდებულებებზე ლაპარაკის საბაბი ჩვენ კიდევ გვექნება და მე არ მინდა ეს წიაღსვლა ნ. მოროზოვმა თავის თავზე მიიღოს. მოროზოვი ფეხბურთში დიდად დამსახურებული, ცნობილი კაცია და რა მისი ბრალია, რომ მაშინ, 1954 წელს, სწორედ ის დააყენა ბედმა სხვა მწვრთნელის ადგილას, რომელმაც გუნდის წარმატებას საძირკველი ჩაუყარა.

ყველაც არ იყოს, „ტორპედოს" მაშინდელი წარმატება არც კი ღირს ამდენ ლაპარაკად. ჩვენი თამაში ძალიან შორს იყო იდეალისგან. ჩვენ ამოგვატივტივა ჟამთა სიავის ტალღამ, რომელმაც საბჭოთა ფეხბურთს გადაუარა. როგორც ყველა დანარჩენი, ჩვენც გზაჯვარედინზე ვიდექით, ჯერ კიდევ არ დაგვეწყო საკუთარი სახის ძიება.

ამ დროისთვის კარიერა დაამთავრეს პონომარიოვმა, ძმებმა ჟარკოვებმა, სევიდოვმა, მოროზოვმა, მოშკარკინმა. ბოლო მატჩებს თამაშობდნენ მათი პარტნიორები: გომესი, სოლომატინი, ჩაიკო, სოჩნევი. წასულთა ადგილები სხვა გუნდების მოთამაშეებმა დაიკავეს. ეს ფეხბურთელები ურიგოდ არ თამაშობდნენ და გამოცდილებაც ჰქონდათ, მაგრამ „ტორპედო" მათთვის მშობლიური კლუბი არ იყო. „ტორპედო" მათთვის იყო რაღაც ტვირთგადამცლელი წერტი, მყუდრო ნავსაყუდელი, სადაც მათ შეეძლოთ ამ შფოთიან დროს თავი შეეფარებინათ. გულევსკი, ფიოდოროვი, სენიუკოვი, არხიპოვი, ანისიმოვი, საფრონოვი, ილინი... კიდევ ვინ? მართალი გითხრათ, აღარც კი მახსოვს, თუმცა სხვებიც იყვნენ. ამ აუწყობელ გუნდში ძლივს ისმოდა გაუბედავი ხმები ტორპედოელთა ახალი თაობის წარმომადგენლებისა, ჯერ სულ ახალგაზრდა ჭაბუკებისა, რომლებმაც არც კი იცოდნენ, მომავალში ვინ გამოვიდოდნენ. ამ თაობის პირველი მერცხლები მე და არბუტოვი ვიყავით.

პრაქტიკულად, ყველაფერი თავიდან უნდა დაგვეწყო. უნდა დაგვეწყო არა ბოძების შეყენება ნახევრად დანგრეული სახლისთვის, რათა კრახი კიდევ ერთი დღით გადაგვეწია, არამედ ახალი, მყარი და თანამედროვე სახლის საძირკვლის თხრა.

მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო ეს თანამედროვე სახლი? ეტალონები არ არსებობდა. ცდსა დაშალეს, „დინამო" იმავე კრიზისს განიცდიდა, რასაც ჩვენ, რასაც ყველა სხვა, „სპარტაკი" ჯერ მხოლოდ იწყებდა ძალთა მოკრებას.

... ახალი სეზონის ერთ-ერთი პირველი მატჩის წინ ჩვენი მარცხენა გარემარბი ა. გულევსკი ავად გახდა და მის ადგილას ახალბედა დააყენეს. მაღალი, მხარბეჭიანი ბიჭი იყო, ქოჩორი შუბლს უფარავდა. ასეთი ქოჩორი მაშინ მოდაში იყო იმ ჭაბუკებში, რომლებსაც „ძველ ბიჭებად" მოჰქონდათ თავი. ახალბედაზე ჩვენ ცოტა რამ ვიცოდით: რომ იგი ჯერ ჩვიდმეტი წლისაც არ იყო, რომ პეროვში ცხოვრობდა და ქარხანა „ფრეზერში" მუშაობდა.

მინდორზე მან თავი ისე დაიჭირა, თითქოს მთელი ცხოვრება „ტორპედოს" ძირითად შემადგენლობაში თამაშის მეტი არაფერი ეკეთებინოს. ბურთი პირველად რომ მიუვიდა, იგი პირდაპირ მცველისკენ დაიძრა, ადვილად აუარა გვერდი ჯერ მას, შემდეგ მეორეს, მესამეს, და კარის გასწვრივ ძლიერად დაარტყა. ჩვენი შემდეგი იერიშის დროს მან ცენტრისკენ უფრო ახლოს გადმოინაცვლა და ხელსაყრელ მომენტში დაუფიქრებლად, უყოყმანოდ დაარტყა კარში. დაარტყა ბურთის გაუჩერებლად, ძლიერად და ზუსტად. უკვე აღარ მახსოვს, გაიტანა თუ არა გოლი პირველ თამაშში. პირველში თუ არა, მეორეში ხომ გაიტანა.

თამაშის გარჩევისას ახალბედა შეაქეს, მაგრამ მას არავითარი ემოციები არ გამოუხატავს. მესამე მატჩის შემდეგ იგი დუბლშემადგენლობაში დააბრუნეს: დაბრუნდა გულევსკი — მოთამაშე, რომლის სათადარიგოებში გადაყვანა უხერხული იყო. ჩვენს ახალბედას არც ახლა გამოუხატავს გულისტკივილი და გაკვირვება. იგი, როგორც ყოველთვის, გულგრილი დარჩა.

მაგრამ მინდორზე მისი გამოყვანა უკვე აუცილებელი გახდა, მისი არყოფნა იგრძნობოდა. სადმე უნდა მოენახათ ადგილი და მოუნახეს კიდეც — ცენტრში.

ასე გახდა ჩემი პარტნიორი ედუარდ სტრელცოვი, კაცი, რომელთან ერთადაც გავიარე ეკალ-ბარდით მოფენილი საფეხბურთო ბილიკები, კაცი, რომელთანაც მაკავშირებდა არა მარტო თამაში, არამედ მეგობრობაც, კაცი, რომელსაც ბედად ეწერა ბევრი ისეთი აღმაფრენა და დაცემა, რომლის მსგავსიც ფეხბურთში არავის გადაუტანია არც მანამდე და არც მას შემდეგ.

რა დავწერო სტრელცოვზე? უკვე თითქმის ოცი წელია ვიცნობ, მაგრამ ჩემთვის იგი დღემდე გამოცანად რჩება. მაგრამ მე ვალდებული ვარ დავწერო მასზე, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ თითქმის ოცი წელია ვიცნობ. ვიცნობ, ალბათ სხვებზე უკეთ და ახლოს. და თუ არა მე, მაშ ვინ უნდა დაწეროს? ყველაც არ იყოს, დამეთანხმებით: რაღა ივანოვის წიგნი გამოვა, თუ მასში სტრელცოვი არ იქნება?

მაგრამ რა დავწერო? ვთქვა, რომ სტრელცოვი ძლიერი ადამიანია? ამის თქმა საჭიროა იმიტომ, რომ ეს სიმართლეა. მაგრამ ამავე დროს სტრელცოვი ხომ სუსტი ადამიანიცაა, ისეთი სუსტი, რომ ზოგჯერ ისლა დაგრჩენია, გაოცებისგან ხელები გაშალო. ვთქვა, რომ სტრელცოვი კეთილი კაცია? ჰო, რასაკვირველია, კეთილია, უსაზღვროდ კეთილი. მაგრამ რამდენჯერ მოუტანია ამ გულკეთილობას მისთვისაც და მის გარშემო მყოფებისთვისაც გამოუსწორებელი, საშინელი ბოროტება! ამ ადამიანში ძლიერება და ვაჟკაცობა გაუგებარ, აუხსნელ ინერტულობას, [illegible] უნარისა და სურვილის უქონლობას ერწყმის. იგი [illegible] მინდორზე, მაგრამ ფლეგმატური და დამყოლია ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი თითქოს წინააღმდეგობებისგანაა ნაქსოვი. მის არსებაში მშვიდობიანად მეზობლობენ თვისებები, რომელთაგანაც თითოეულს მთლიანად უნდა მოესპო მეორე.

ალბათ ამით აიხსნება მისი უცნაური ბედი ფეხბურთში. ალბათ ამიტომაა, რომ ადამიანს, რომელმაც ფეხბურთში წარმოუდგენელ სიმაღლეებს მიაღწია, არ მოუპოვებია იმის ნახევარი წარმატებაც კი, რისი მოპოვებაც ბუნებისგან მომადლებული ტალანტით შეეძლო.

მე ასე ვიტყოდი: ედუარდ სტრელცოვის ძალის უშრეტი წყარო იყო მინდორი და ბურთი, მაგრამ, როგორც კი ბურთს დაშორდებოდა და მინდორს დატოვებდა, მყისვე სუსტი და უმწეო ხდებოდა იმ ათასგვარი ცდუნების წინაშე, რომელთაც ცხოვრება უხვად უმზადებს ყოველ ცნობილ სპორტსმენს, განსაკუთრებით კი ფეხბურთელებს.

ჩვენ იმთავითვე ერთმანეთის გვერდით დავიწყეთ თამაში: ის — ცენტრი, მე — ინსაიდი. თითქოს მუდამ ასე იყო. ჩვენ არც შეთამაშებისთვის გვიზრუნია, არც მოგვილაპარაკია, არც მოქმედების ზონები გაგვინაწილებია. მე მინდორზე მუდამ ინტუიციით, გონების დაუძაბავად, სტრელცოვს ვეძებდი. კი არ ვეძებდი, ვგრძნობდი, რომ მაშინ, როცა ბურთი მე მქონდა, იგი ამა და ამ ადგილას უნდა გაჩენილიყო, იმიტომ, რომ ის პოზიცია ყველაზე ხელსაყრელი და ბუნებრივი იყო. და მე, არც კი ვიხედებოდი, ისე ვურტყამდი ბურთს იქით. თუ არ ვარტყამდი და გადავწყვეტდი კიდევ უფრო წინ წამეღო ბურთი, მაშინაც ვიცოდი, სტრელცოვი ახლა რომელ წერტილში გადაინაცვლებდა. და ამაშიც არასდროს ვცდებოდი.

როცა ბურთი სტრელცოვს ჩაუვარდებოდა ხელში, მე ისევ თითქმის უშეცდომოდ განვსაზღვრავდი, რას უზამდა იგი ამ ბურთს მეორე წამში. მაგალითად, მე ჩემს თავს ვეტყოდი: „ჩქარა, ჩაურბინე მარცხნიდან. ახლა იგი ბურთს ქუსლით საჯარიმოში შემოაგდებს". გავიქცეოდი და ბურთს ზუსტად იმ წერტილში ვღებულობდი, სადაც ველოდი.

როგორ იშვა ეს ურთიერთგაგება?

პარტნიორს, განსაკუთრებით იმას, რომელიც შენს მხარდამხარ თამაშობს, საკმაოდ მალე გაუგებ. თუ ბურთი შენ გაქვს, თვალებით ეძებ იმას, ვინც „გახსნილია", ვინც უკეთეს პოზიციაშია, და ცდილობ სწორედ იმას მიაწოდო. მიაწოდებ და ახლა თვითონ შენ ცდილობ „გაიხსნა". ამავე დროს იმასაც უყურებ, თუ რას იზამს ბურთის ახალი მფლობელი: იხარბებს და ყველაფერ დანარჩენს თავის თავზე აიღებს, თუ ისე მოიქცევა, როგორც საჭიროა. კმაყოფილებას გრძნობ, თუ მანაც გიპოვნა, მიხვდა შენს სვლას, გწყინს, თუ პარტნიორმა ბურთი დაკარგა.

თამაშის დროს ყველაფერი ეს არაერთხელ მეორდება. და თანდათან მყარდება გარკვეული კავშირი, რომელიც მატჩიდან მატჩამდე მტკიცდება ან, პირიქით, სულ უფრო და უფრო სუსტდება, სანამ საბოლოოდ გაწყდებოდეს. მიზეზი ის როდია, რომ პარტნიორი სუსტია ან ტაქტიკაში ვერ ერკვევა. ასეც ხდება, მაგრამ არის ხოლმე სხვაგვარადაც. ხდება ასე, რომ შენ და პარტნიორს სხვადასხვანაირად გესმით თამაშის არსი, სხვადასხვანაირად წარმოგიდგენიათ კომბინაციის განვითარება, ასე ვთქვათ, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობთ. და შენ მინდორზე უკვე ძალაუნებურად ეძებ თანამოაზრეს, ძალაუნებურად ირჩევ მას სხვებს შორის. იცი, მას რომ მისცემ — მისგანვე მიიღებ.

ეს, რასაკვირველია, სქემაა. თამაში უფრო მდიდარია, უფრო რთული. მაგრამ სწორედ ასეთი სქემით ვითარდებოდა ჩემი და სტრელცოვის დამოკიდებულება მინდორზე. კავშირი თითქოს თავისთავად ჩაისახა და ძალიან მალე განმტკიცდა.

თამაშში სიახლოვემ ხელი შეუწყო ჩვენს დაახლოებას მინდვრის ფარგლებს გარეთაც. გაზეთებშიც მუდამ ერთად მოგვიხსენიებდნენ ხოლმე და ჩვენს სახელებს ურთავდნენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „ტანდემი", „გაორებული ცენტრი", „განუყრელი წყვილი", „დუეტი", „ჰვანძი". თანაც, მაშინ ჩვენ ორივენი ახალგაზრდები ვიყავით, უცოლოები, ორივეს მძიმე ბავშვობა გვქონდა გადატანილი, ლუკმაპურისთვის შრომა ორივემ შვიდწლედის დამთავრებისთანავე დავიწყეთ და ასევე ორივეს ადრე გვესტუმრა სპორტული დიდება. და, თითქოს ჩვენი ერთმანეთისგან დაშორება არ უნდათო, ერთნაირი ბინებიც მოგვცეს ერთსა და იმავე სახლში.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე წარიმართა, რომ არ შეიძლებოდა არ დავახლოებულიყავით.

(გაგრძელება იქნება)

## ფოტოინფორმაცია

### განვლილ შეჯიბრებებზე

სსრ კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა მატჩი მუდამ დიდ ინტერესს იწვევს სპორტის მოყვარულთა და სპეციალისტთა შორის. ამ ორი ქვეყნის მძლეოსანთა შეხვედრები ხშირად მსოფლიო რეკორდებითაც აღინიშნება. ასე იყო მოსკოვში, ძმები ზნამენსკების სახელობის მანეჟშიც, სადაც სსრ კავშირის გუნდის წევრმა ა. მალიუკოვმა საწონი 28,58 მეტრზე ტყორცნა. ეს შედეგი მსოფლიო რეკორდია. მარცხენა სურათზე სწორედ მსოფლიო რეკორდსმენი ა. მალიუკოვია აღბეჭდილი.

მეორე ფოტოსურათი სვერდლოვსკში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის დღეებშია გადაღებული. ფოტოზე აღბეჭდილი არიან სპრინტერულ მრავალჭიდში გამარჯვებული მოციგურავეები (მარცხნიდან): ვერცხლის პრიზიორი ლ. სადჩიკოვა (სმოლენსკის ოლქი), ჩემპიონი ტ. ავერინა (გორკის ოლქი) და ბრინჯაოს მედალოსანი ტ. შელეხოვა (უკრაინა). მათი შედეგები შესაბამისად ასეთია: 182,610, 182,605 და 183,225 ქულა.

საკდესის ფოტოები.

## სსრ კავშირის თასზე



### მერვედფინალისტებს შეემატნენ „ზარია" და ცსკა

19 მარტს გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური ეტაპის ბოლო ორი შეხვედრა ფეხბურთში.

მინსკის დინამოელებმა სოჭის სტადიონზე მიიღეს ვოროშილოვგრადის „ზარია" და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0, მაგრამ, ვინაიდან „ზარიას" მეტოქის მინდორზე გამართული შეხვედრა მოგებული ჰქონდა ანგარიშით 3:1, მერვედფინალში იგი გავიდა.

ნალჩიკის „სპარტაკისა" და ცსკა-ს განმეორებითი შეხვედრა ნალჩიკში არმიელებმა მოიგეს ანგარიშით 2:0 და აგრეთვე გავიდნენ მერვედფინალში.

18 მარტს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" განმეორებით შეხვედრაში წარმატება წილად ხვდათ კუიბიშეველებს — 1:0. გოლი გაიტანა კორაბლიოვმა.

## მოზარდთა რესპუბლიკური...

გრძელდება მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. მოგვყავს III ტურის შედეგები:

აღმოსავლეთი ზონა. „დილა" (გორი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 1:1, „დინამო" (თბილისი) — „ავაზა" (თბილისი) 2:0, „განთიადი" (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:0, განათლების განყოფილება (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი) 0:0.

დასავლეთი ზონა. „მერცხალი" (მახარაძე) — „გურია" (ლანჩხუთი) 3:0, „კოლხეთი" (ფოთი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (გაგრა) 5:0, „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (ზუგდიდი) 0:0, განათლების განყოფილება (ქუთაისი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0:0.









ვინ იცის, რა უფრო ძნელია, რა უფრო ძლიერი და მაცდური დასაძლევი — „ცოცხალი" მეტოქე თუ ფოლადის წინასწარმეტყველი იარაღი? ამაზე პასუხის გაცემა ძალზე რთული საქმეა. თუმცა დანამდვილებით ასეა? იქნებ ამ კითხვის გასაღები ა. სააკოვის ფოტოებზე ამოიკითხოთ და მიაკვლიოთ?

იაპონელი ტანმოვარჯიშე სირომე კაძიამა პირგამეხილი, საარაკო თავგამოდებით გაჰყურებს საბრძოლო იარაღს. მაყურებლისგან განსხვავებით მას მშვენივრად აქვს წარმოდგენილი და დანახულიც კი იარაღთან ბრძოლის თავი და ბოლო. მაგრამ იარაღსაც აქვს თავისი „კოზირები". იქნებ უმუხთლოს, იქნებ არ დამორჩილდეს... ეს მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდია. ბრძოლა ფიცხელი, უშეღავათო ბრძოლა ადამიანსა და უსულო იარაღს შორის სადაცაა დაიწყება. ჯერ კი სპორტსმენი თითქოს თავისებურ რელიგიურ რიტუალს ასრულებს მძიმე საქმის წინ.

აქ სულ სხვა სურათია. თუმცა, სულ სხვაო, როცა ვამბობთ, ბოლომდე მართალი როდი ვართ. აქაც დაყინებული ფიქრი მეტოქეზე, ოღონდ კონკრეტულ, უფრო სწორად, „სულიერ" მეტოქეზე. მოდით, მოფარიკავე ვიქტორ ბაჟენოვის შეჯიბრებისწინა ჩაფიქრებას სპორტული ცნობიერების ნაკადი ვუწოდოთ. ვფიქრობთ, ეს ყველაზე მეტად მოუხდება ფოტოზე აღბეჭდილ ემოციას.

ა. გოშელია.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### „სიმამაცის ნათხილამურევი"

არხანგელსკის № 1 სამხერხაო-ხის დამმუშავებელი კომბინატისა და სოლომბალის 55-ე საშუალო სკოლის ოცდაორმა კომკავშირელმა მოაწყო ორდღიანი 60-კილომეტრიანი სათხილამურო ლაშქრობა „არხანგელსკი — ჩრდილოეთის ლეგენდარული კუნძული მუდიუგი".

თეთრ ზღვაში მდებარე ამ პატარა კუნძულზე 1918 წელს გმირული სიკვდილით დაეცნენ წითელი არტილერისტები.

ახლა აქ პატრიოტთა ხსოვნის პატივსაცემად მემორიალური კომპლექსია აგებული. წლეულს ახალგაზრდა ჩრდილოელებმა თხილამურებით უკვე მეხუთედ გადასერეს მდუმარებით მოცული თეთრი ველები, რათა გმირების ძეგლი თაიგულებით შეემკოთ და მემორიალური მუზეუმის მცველ ი. ჟელეზნიკოვის ნაამბობი მოესმინათ.

— წლეულს ლაშქრობა რთულ პირობებში ჩატარდა, — გვიამბობს ამ ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე, სამხერხაო-ხის დამმუშავებელი კომბინატის მუშა ვ. ბაკშანოვი. — სველი თოვლი მოდიოდა, ნათხილამურევზე გუბეები იდგა. ხუთ საათზე მეტი დაგვჭირდა გზაში. მუდიუგის კუნძულზე გულთბილად შეგვხვდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. ჩასვლის დღეს მეთევზის ქოხში დავისვენეთ, მეორე დილით კი უკან დავბრუნდით.

არხანგელსკ — მუდიუგის ტრასას კომკავშირელებმა „სიმამაცის ნათხილამურევი" უწოდეს. ამ ტრასაზე ლაშქრობები ჩრდილოეთის განთავისუფლებისთვის მებრძოლ გმირთა ხსოვნას და კომკავშირისთვის ლენინის სახელის მიკუთვნების 50 წლისთავს ეძღვნება. წლეულს ეს მარშრუტი ორასზე მეტმა ადამიანმა გაიარა. ყველა ლაშქრობას ხელმძღვანელობდა სამოქალაქო ომისა და ჩრდილოეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, 72 წლის ი. ვლასოვი.

კუნძულ მუდიუგზე „სიმამაცის ნათხილამურევის" ყველა მონაწილეს საზეიმოდ გადასცემენ სპეციალურ დიპლომს და ტურიზმში მშდ კომპლექსის ნორმატივის ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩაბარების მოწმობას.

ი. ნიკონოვი.

არხანგელსკი.



## ახლებურად...

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მდივანი ვ. ჯონსი ამას წინათ რომში გახლდათ სტუმრად და ადგილობრივ ჟურნალისტებს შეხვდა. პრეს-კონფერენციაზე საუბარი იყო თანამედროვე კალათბურთის აქტუალურ პრობლემებზე, საერთაშორისო ტურნირების კალენდარზე. ჟურნალისტებმა და გენერალურმა მდივანმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება მსოფლიოს (ვაჟებში) და ევროპის (ქალებში) ჩემპიონატებზე, ამ ტურნირებისთვის მზადებასა და რეგლამენტის ზოგიერთ სიახლეზე.

საინტერესო იყო ვ. ჯონსის ინფორმაცია ევროპის საკლუბო ტურნირების ორგანიზაციის ახალ პროექტზე. კერძოდ, გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მომავალი გათამაშების ჩატარება ახლებურადაა განზრახული: ოლიმპიური სისტემა ძალაში დარჩება მეოთხედფინალამდე, მერე კი 8 უძლიერესი გუნდი საპატიო ჯილდოსთვის წრიული სისტემით იბრძოლებს.

გენერალური მდივნის აზრით, ამ სიახლეს წინ არაფერი უდგას, მაგრამ ფორმალურად იგი უნდა დაამტკიცოს კალათბურთელთა ევროპის კონფერენციამ, რომლის ჩატარებაც ნავარაუდევია ბეირუთში მაისის შუა რიცხვებისთვის.

## ბრაზილია, პანამა, პუერტო-რიკო...

ლათინური ამერიკის ქვეყნებში დიდი პოპულარობით სარგებლობს კალათბურთი. ამიტომაც ამ კონტინენტის ჩემპიონატი ყოველ წელიწადს ტარდება.

განსაკუთრებით საინტერესო იყო წლევანდელი ტურნირი. ეს გასაგებიცაა: წლეულს ხომ პუერტო-რიკოში ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება და, ბუნებრივია, ლათინური ამერიკის ქვეყნები ხელიდან არ გაუშვებენ საშუალებას, რომ „შინ" თავი გამოიჩინონ.

ტურნირი, როგორც მოსალოდნელი იყო, მოიგო ბრაზილიის ნაკრებმა — ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების ბოლო წლების უცვლელმა ლაურეატმა. ბრაზილიელებმა ყველა მატჩი მოიგეს, მათ შორის II ადგილზე გასულ პანამასთან და მესამე პრიზიორ პუერტო-რიკოსთან.

## ცსკა: 16 შეხვედრა, 16 გამარჯვება

გუშინწინ ლენინგრადსა და ვოროშილოვგრადში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩები.

ლენინგრადში ტურის ბოლო, მეხუთე დღეს დაძაბული ბრძოლა გაიმართა ადგილობრივ „დინამოსა" და ალმა-ათის „დოროჟნიკს" შორის. სამსაათიან ჭიდილში გაიმარჯვეს ალმაათელებმა — 3:2. კიევის „ლოკომოტივმა" მოუგო ოდესის ტექნოლოგიის ინსტიტუტის გუნდს — 3:1. შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, რიგის „რადიოტექნიკმა" ადგილობრივ „ავტომობილისტს" სძლია — 3:0.

ვოროშილოვგრადში მეხუთე გამარჯვება იზეიმეს მოსკოველმა არმიელებმა. ბოლო, მეხუთე დღეს მათ მოუგეს თანაქალაქელ დინამოელებს — 3:0. ცსკა ერთადერთი გუნდია, რომელიც ჩემპიონატში საერთოდ არ დამარცხებულა. მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ფრენბურთელებმა მოუგეს დნეპროპეტროვსკის „ავტომობილისტს" — 3:2, ხოლო ვოროშილოვგრადის „ზვეზდამ" დაამარცხა როსტოვის არმიელები — 3:0.

ჩემპიონი გამოვლინდება აპრილში ერევანში.

გაგაცნობთ მესამე ტურის საბოლოო ცხრილებს:

**ლენინგრადი**

| | მ. | წ. | პ.შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „რადიოტექნიკი" | 4 | 1 | 14:4 | 4 |
| „ავტომობილისტი" (ლენინგრადი) | 4 | 1 | 12:4 | 4 |
| „დოროჟნიკი" | 3 | 2 | 10:11 | 3 |
| „ლოკომოტივი" | 2 | 3 | 9:10 | 2 |
| „დინამო" (ლენინგ.) | 1 | 4 | 5:12 | 1 |
| ტექნოლოგიის ინსტ. | 1 | 4 | 5:14 | 1 |

**ვოროშილოვგრადი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 5 | 0 | 15:2 | 5 |
| ასკ | 3 | 2 | 9:8 | 3 |
| უმაღლ. ტექნ. სასწ. | 3 | 2 | 11:10 | 3 |
| „ზვეზდა" | 3 | 2 | 9:10 | 3 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 1 | 4 | 7:12 | 1 |
| „ავტომობილისტი" (დნეპროპეტროვსკი) | 0 | 5 | 6:15 | 0 |

## ცეცხლის ხაზზეა 220 მოსწავლე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 53-ე და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნის 56-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ტყვიის მსროლელთა შეჯიბრებაში ხობის რაიონის 22 საშუალო სკოლის 220 მოსწავლე მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში წარმატება წილად ხვდა პირველი მაისის საშუალო სკოლის ნაკრებს. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ზუბისა და ჭალადიდის საშუალო სკოლების მოსწავლეები.

პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგები ჰქონდათ: გოგონათა შორის — ლ. ხუნჯუას (პირველი მაისი), ჭაბუკებში — თ. ქირიას (ნოჯიხევი).

36 მონაწილემ მშდ კომპლექსის ნორმატივი ჩააბარა.

ბ. სანიკიძე,
ხობის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

## ჩემპიონატები, მატჩები, სიახლეები

### ესპანეთი

ჩემპიონატის XXVI ტურში გათამაშების ლიდერმა „ბარსელონამ" „რეალ მურსიას" უმასპინძლა. ლიდერს გამარჯვება პრაქტიკულად ჩემპიონად ხდიდა. ბარსელონელები მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ, მაგრამ ნახევარმცველმა ასენსიმ შეძლო ამ შეხვედრის ერთადერთი გოლის გატანა სტუმართა კარში — 1:0. „ბარსელონა" ფაქტიურად ახალი ჩემპიონია.

შარშანდელ ჩემპიონს — მადრიდის „ატლეტიკოს" ერთობ რთული ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი: მის მეტოქეს, კატასტროფულ მდგომარეობაში მყოფ მადრიდის „რეალს" ამ შეხვედრაში უნდა დაემტკიცებინა თავისი იმედგაცრუებული გულშემატკივრებისთვის, რომ, IX ადგილის მიუხედავად, „რეალმა" ჯერ კიდევ იცის ფეხბურთის ყადრი. პირველ ტაიმში „ატლეტიკოს" უპირატესობა საგრძნობი იყო, მაგრამ მატჩის მიწურულისთვის „რეალის" კონტრშეტევები სახიფათო გახდა. 79-ე და 83-ე წუთებზე მადრიდელებმა მაკანამ და მარანიონმა ორი „მშრალი" გოლი გაიტანეს „ატლეტიკოს" კარში.

„რეალ სარაგოსამ" შინ ადვილად მოუგო ბილბაოს „ატლეტიკოს" — 3:0. „მალაგამ" და „გრანადამ" ფრედ ითამაშეს — 1:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 26 | 62:16 | 40 |
| „ატლეტიკო" (მადრ.) | 26 | 41:23 | 31 |
| „რეალ სარაგოსა" | 26 | 39:31 | 31 |
| „მალაგა" | 26 | 25:23 | 30 |

### იტალია

გათამაშების მორიგი ტურის ცენტრალური შეხვედრა მილანში ადგილობრივ „ინტერნაციონალესა" და რომის „ლაციოს" შორის მასპინძელთა დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა — 3:1. ამ წაგებამ ლიდერის მდგომარეობა ძალიან გაართულა.

შარშანდელმა ჩემპიონმა — ტურინის „იუვენტუსმა" შინ აჯობა „მილანს" — 2:0. ვიჩენცის „ლანეროსიმ" ასევე შინ მოუგო „ნაპოლის" — 2:1. „რომამ" თავის მინდორზე სძლია „ფოჯას" — 3:0. ორი გოლი გაიტანა პრატიმ, ერთიც — დომენგინიმ.

ლიდერთა ხუთეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლაციო" | 21 | 29:13 | 30 |
| „იუვენტუსი" | 21 | 34:20 | 28 |
| „ნაპოლი" | 21 | 24:17 | 27 |
| „ინტერნაციონალე" | 21 | 31:21 | 25 |
| „ფიორენტინა" | 21 | 24:16 | 25 |

(საქ. ინფ.).

ფეხბურთი



სტილი — „ყაყაძე-ფოსბიური".

ქ. პატიაშვილის ნახატი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, კადრების განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.